9-11 ივნისი, 1993 წ.
№ 40 (10528) ● ფასი 15 კაპ.
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

კანონპროექტმა პირველი ეტაპი გაიარა

კანონპროექტი სპორტის შესახებ, რომელსაც პირველ ეტაპზე გულდადინჯებით განიხილავდნენ რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციები და ფედერაციები, საბოლოო შენიშვნებითა და წინადადებებით გადაეცა საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისიას. კომისიაში მსჯელობის შემდეგ პროექტი საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნდება პრესაში. ამასთან, წარმოდგენილია პროექტის ალტერნატიული ვარიანტი.

ინფორმაცია

● **პარიზი.** საფრანგეთის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში ქალთა შორის გერმანელმა შტეფი გრაფმა მოიგო, ვაჟებში კი 22 წლის ესპანელმა სერხი ბრუგერამ.

● **ვროცლავი.** კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევმა ტურნირმა გამოავლინა ფინალური საგზურის ოთხი მფლობელი ხუთიდან. ესენი არიან სლოვენია, ხორვატია, ბოსნია-ჰერცოგოვინა და ესტონეთი.

● **იუჯინი** (აშშ). მსოფლიო რეკორდსმენმა ჭოკით ხტომაში, სერგეი ბუბკამ სცადა თავისი შედეგის გაუმჯობესება, მაგრამ 6 მეტრი და 14 სანტიმეტრი ვერ დაძლია. ბუბკას ორეგონის შტატის ამ ქალაქში გამართულ შეჯიბრებაზე სპონსორობას უწევდა სპორტსაქონლის ცნობილი ფირმა „ნაიკი".

● **სოფია.** კვირას აქ დამთავრდა ევროპის გუნდური ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში. პირველ ხუთეულში მოხვდნენ: უნგრეთი — 5523 ქულა, საფრანგეთი — 5364, ბულგარეთი — 5045, რუსეთი — 4923 და შვეიცარია — 4915.

● **მილანი.** პოპულარულ ველორბოლას „ჯირო დ' იტალიას" 14 ეტაპის შემდეგ ლიდერობს ესპანელი მიგელ ინდურაინი — 66:45.03. მეორე ადგილზე მყოფი პიოტრ უგრიუმოვი ლიდერთან 49 წამს აგებს. იტალიელი კლაუდიო კიაპუჩი (სწორედ მან მოიგო მეთოთხმეტე ეტაპი) ჯერჯერობით მესამეა — მინუს 1 წუთი და 18 წამი.

შტეფი გრაფი

ტელევიზია ფულს უხდის საფეხბურთო ლიგას

აშშ-ის ეროვნულმა საფეხბურთო ლიგამ (ნფლ) ამ სამი წლის წინათ ოთხწლიანი შეთანხმება გააფორმა კაბელური ტელევიზიის კომპანიასთან სატელევიზიო გადაცემების უფლების ყიდვა-გაყიდვის თაობაზე. ამ გარიგებით ნფლ-ის შემოსავალი 450 მილიონი დოლარით გაიზარდა. მაგრამ რეალური შემოსავალი ორჯერ მეტია, ვინაიდან ეროვნულმა საფეხბურთო ლიგამ ტიბი-ესთანაც დადო ხელშეკრულება. ეს კიდევ არაფერი — მაყურებელთა ვალში არც ტელეკორპორაცია ენ-ბი-სი დარჩა და თავის მხრივ გადაცემების უფლების მიღებისათვის 752 მილიონ დოლარზე შეუთანხმდა ნფლ-ს. ტელეშემოსავლებმა წელში გამართა საფეხბურთო კლუბებიც, რომელთა ბიუჯეტმა 17-დან 32 მილიონ დოლარამდე აიწია. ამერიკის საფეხბურთო მატჩების ტელეტრანსლაციისთვის (ლიგის 1993 წლის თასის ფინალის ჩათვლით) ნფლ საბოლოო ჯამში ფანტასტიკურ შემოსავალს — 3,6 მილიარდ დოლარს მიიღებს. ასეთი რამ ჯერ არ ახსოვს სპორტის ისტორიას.

სპორტის პოპულარული სახეობები სოლიდურ შემოსავალს გეგმავენ ტელეუფლებათა ხარჯზე და იღებენ კიდეც.

ავტოკატასტროფის შედეგად

ცნობილი იუგოსლაველი კალათბურთელი დრაჟენ პეტროვიჩი, რომელიც ნბა-ს კლუბ „ნიუ-ჯერსის" ღირსებას იცავდა, ამ დღეებში ავტოკატასტროფამ იმსხვერპლა გერმანიაში.

მილოცვა

საქართველოს სპორტკომიტეტი და ფარიკაობის ფედერაცია დაბადებიდან 80 წლისთავს ულოცავენ საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს ოთარ დიდებულიძეს.

რა ხდება ქვეყანაზე

ავტორიტეტი ასახელებს ათეულს

საფრანგეთის გაზეთ „ეკიპს" მსოფლიოს სპორტულ პრესაში მოწინავე ადგილი უკავია და მის მიერ მოწყობილი ნებისმიერი კონკურსი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. „ეკიპი" ტრადიციულად ატარებს რეფერენდუმს, რომელიც მიზნად ისახავს „ჩემპიონთა ჩემპიონის" გამოვლენას. მიუხედავად იმისა, რომ 1992 წელი ოლიმპიური თამაშების წელი იყო, რჩეულთა სიაში მხოლოდ რამდენიმე ოლიმპიელი მოხვდა. „ეკიპის" მიერ შედგენილი ათეული კი ასეთია:

1. **მაიკლ ჯორდანი (აშშ, კალათბურთი) — 186.**
2. **კარლ ლუისი (აშშ, მძლეოსნობა) — 168.**
3. **ნაიჯელ მენსელი (ინგლისი, ავტოსპორტი) — 151.**
4. **მიგელი ინდურაინი (ესპანეთი, ველოსპორტი) — 145.**
5. **ქევინ იანგი (აშშ, მძლეოსნობა) — 92.**
6. **მონიკა სელეში (იუგოსლავია, ჩოგბურთი) — 89.**
7. **ჯიმ კურიე (აშშ, ჩოგბურთი) — 74.**
8. **დანიის ნაკრები ფეხბურთში — 52.**
9. **ევგენი სადოვი (რუსეთი, ცურვა) — 46.**
10. **დევიდ ქემფიზი (ავსტრალია, რაგბი) — 34.**

ფული მიიღო და... მიიმალა
შეხვედრა ახალ ოსტაპ ბენდერთან

„გამარჯობათ, ბატონო ოსტაპ ბენდერ!" ასე შეეძლოთ წარმოთქვან ჩვენმა მოჭადრაკეებმა, თუკი, რა თქმა უნდა, სადმე შეხვდებიან პეტერბურგელ დიდოსტატ ალექსანდრ კოჩიევს.

მაინც რა მოხდა? კოჩიევი მიიწვიეს პრაღის საერთაშორისო ტურნირში, სადაც მას ერთ-ერთ ფავორიტადაც კი მიიჩნევდნენ. შეიძლებოდა პირველი პრიზი მოეპოვებინა, შეიძლებოდა ვერც დაუფლებოდა მას, მაგრამ ტურნირის დაწყებამდე, ყოველ შემთხვევაში, დიდად უწევდნენ ანგარიშს.

თუმცა, გაგიგონიათ? პირველი პარტია სანქტპეტერბურგელმა სტუმარმა სწრაფი ყაიმით დაამთავრა. ასევე სწრაფად დასჯერდა იგი ყაიმს მეორე პარტიაში. და აი, დაიწყო მესამე ტური. ყველა მონაწილე საჭადრაკო დაფებს მიუსხდა, არსად ჩანდა მხოლოდ კოჩიევი. გავიდა კარგა ხანი. შეჯიბრების ორგანიზატორები შეშფოთდნენ, ავად ხომ არ გახდაო და სასტუმროში მიაკითხეს. აქ კი ადმინისტრატორმა განაცხადა, დიდოსტატმა, თურმე, დილაადრიანად თავისი ბარგი-ბარხანით მიატოვა სასტუმრო და გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდა.

გასაგებია, ალექსანდრ „ბენდერმა" ორგანიზატორებისაგან ე. წ. „ჯიბის ფული" მთელი ტურნირისათვის წინასწარვე მიიღო, მაგრამ მისი დამბრუნებელი ვინ იყო!

ერთად ვართ. ერთად ვიქნებით!

ამ სიტყვებით და გაბრწყინებული თვალებით ხვდებოდნენ ერთმანეთს რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონების სპორტკომიტეტის თავმჯდომარეები საქართველოს სპორტკომიტეტში თათბირ-სემინარის დაწყების წინ. ისინი სამ წელიწადზე მეტია არ შეხვედრიან ერთმანეთს. თათბირ-სემინარი ამ დღეებში გაიმართა და თავმჯდომარეებმა ხელმძღვანელებთან ერთად ბევრი საჭირბოროტო საკითხი განიხილეს.

თათბირ-სემინარის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ჯ. ბაგრატიონმა.

მივაგოთ პატივი დაღუპულებს

1989 წლის 9 აპრილიდან მოყოლებული ბევრი ახალგაზრდა უაზრო კონფლიქტებსა და სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაიღუპა, გაზეთ „ლელოს" რედაქციამ გადაწყვიტა ჯეროვანი პატივი მიაგოს თითოეული მათგანის ნათელ ხსოვნას. სამწუხაროდ, ბევრი ისე დაიღუპა ფართო საზოგადოებრიობამ არც იცის. ჩვენს რედაქციაში გაიხსნა ხსოვნის წიგნი, სადაც შეიკრიბება მონაცემები ყველა დაღუპულზე, შემდგომში კი ალბათ, შევძლებთ სპეციალური წიგნიც გამოვცეთ.

ვთხოვთ ყველას, ოჯახის წევრებს, ნათესავებს, ახლობლებს, მეგობრებს მოგვაწოდონ დაღუპულებზე შემდეგი მონაცემები: დაბადის წელი და თარიღი, სპორტის სახეობა, სპორტული შედეგები (შეძლებისდაგვარად), საერთოდ მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები.

წინასწარ გიხდით მადლობას.

გამოიწერეთ „ლელო" გადარიცხვით

იჩქარეთ! ვისაც ჯერ კიდევ არ გაუფორმებია „ლელოზე" ხელმოწერა 1993 წლის მეორე ნახევრისათვის, შეგიძლიათ მიაკითხოთ პრესის გავრცელების ბიუროებს (ყოფილი „სოიუზპეჩატი") და გააფორმოთ შეკვეთა... გადარიცხვით.

ეს ძალზე ხელსაყრელია სპორტული ფედერაციებისთვის, ორგანიზაციებისთვის...

დრო ცოტა დარჩა!



კულტურულ ცენტრში, წნორში როგორც დღესასწაულზე ჩამოდიან მთელი კახეთიდან. ადამიანებს ხომ ამ ესოდენ გაჭირვების ჟამს სჭირდებათ დასვენება, აქ კი — სპორტული კომპლექსის დარბაზებში, საცურაო აუზებში, სათამაშო მოედნებზე, კაფეში — ყველაფერია გათვალისწინებული, რათა სიამოვნება მიანიჭონ როგორც პატარებს, ისე მოზრდილებს.

ტაილანდური კრივის (ტეკვანდოს) რესპუბლიკური ასოციაციის „ათლეტის" პრეზიდენტმა ნოდარ კუტივაძემ გვითხრა:

— ასოციაციის ინიციატივით შექმნილი წნორის სპორტულ-კულტურული ცენტრი 19 ივნისს ტეკვანდოს ღია რესპუბლიკურ ჩემპიონატს უმასპინძლებს. იგი გაიმართება დევიზით „ხვალის იმედი". საზეიმო კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სახელოვანი საცეკვაო და ვოკალური ანსამბლები, ინდივიდუალური შემსრულებლები. პროგრამაშია სილამაზის კონკურსი, მახიბრივი გასართობი ღონისძიებანი. ასე რომ, კურსი წნორისაკენ აიღეთ!

გივი კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტის უჩინარი მსახურნი

მემკვიდრე—თავის თავზე, ფეხბურთსა და საკუთარ პაციენტებზე

ანუ როგორ დათარსა ექიმმა საკუთარი თავი

ამ ორიოდე წლის წინ ინტერვიუ ვთხოვე თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა და საქართველოს ეროვნული ნაკრების ექიმს, საქართველოში სპორტული მედიცინის ერთ-ერთ მესვეურსა და მოამაგეს ზაქრო თელიას. მაშინ ბატონმა ზაქრომ თავის მემკვიდრედ და შემცვლელად დაუფიქრებლად დაასახელა ლანჩხუთის „გურიის“ ექიმი დიმიტრი ზაალიშვილი. იმხანად დიმას არ ვიცნობდი, შემდეგ კი ჟურნალისტის პროფესიამ დამაახლოვა და დამამეგობრა მასთან. ამ ურთიერთობის გამო ვორჭოფობდი კიდეც მასზე საგაზეთო წერილის მომზადებას, მით უმეტეს, რომ ექსტრემალურ სიტუაციებში მისგან სამედიცინო დახმარებას ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ვიღებდი ხოლმე.

ბოლო ხანებში ბევრი მიფიქრია სპორტის უჩინარ მსახურებზე, მათზე, ვინც ამ ატმოსფეროში ტრიალებს, ვისთვისაც წაგება-მოგება ისევე ტკბილ-მწარეა, როგორც თავად მოასპარეზეთათვის. ჩვენში ახლა თითქოს შეიცვალა დამოკიდებულება სპორტსმენთა მიმართ — უწინდელ მოყვარულებს დღეს პროფესიონალებს ვეძახით, მეოხეებსა და სპონსორებს სანთლით ვეძებთ. სპორტის უჩინარი მსახურნი კი კვლავ ჩრდილში დარჩნენ. ისინი ჩუმად, უპრეტენზიოდ, უხმაუროდ აკეთებენ თავიანთ საქმეს... მათ შორისაა დიმიტრი ზაალიშვილი, ამჟამად უკვე გურჯაანის „ალაზნის“ ექიმი.

დიმა მხოლოდ თავისი პროფესიით როდია საინტერესო — იგი მიმზიდველი პიროვნებაა, ენაწყლიანი მოსაუბრე, დიდებული ოჯახიშვილი... ●

● **დიმა, მაშინ ზაქრო თელიამ ისიც მითხრა, რომ თქვენ დამთავრებული გაქვთ საბჭოთა კავშირში ერთადერთი სასწავლებელი, სადაც სპორტულ მედიკოსებს ამზადებენ და რომ თქვენი დარგის სპეციალისტები სანთლით საძებარნი არიან არამარტო საქართველოში. რატომ ამოირჩიეთ მაინცდამაინც სპორტული მედიცინა?**

— დავიწყოთ იმით, რომ ბავშვობიდან მიტაცებდა სპორტის სხვადასხვა სახეობა, ოსტატობის კანდიდატობამდე მივაღწიე სასტენდო სროლაში, ვთამაშობდი კალათბურთს, ფეხბურთს. მიყვარდა მთებში სიარული და მიხეილ ხერგიანის ალპინისტურ ჯგუფში ჩავირიცხე. მაშინ ჩემთან ერთად ისროდნენ თამაზ იმნაიშვილი, ტარიელ ქლენტი, სხვა ძლიერი მესტენდურები. ასე რომ, ასეთ ამქარში ჩემი ადგილი აღარ რჩებოდა.

მამაჩემიც, გიორგი ზაალიშვილი, სპორტსმენი გახლდათ, როგორც თბილისელთა უმრავლესობა, ისიც ფეხბურთელობდა, თან მესტენდურიც იყო. საკმაო ხანია თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმის სასწავლო ნაწილის გამგეა, დედაჩემი ექიმია, ქირურგი, მე კი ვერც ერთს ვერ ვაწყენინე, ჯერ თბილისში დავამთავრე ფიზკულტურის ინსტიტუტის პედაგოგიური ფაკულტეტი, შემდეგ კი ტარტუს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სპორტული მედიცინის განხრაზე შევიტანე საბუთები. ეს იყო ერთადერთი ექსპერიმენტული ჯგუფი, სადაც მხოლოდ უმაღლესდამთავრებულებს შეეძლოთ ეცადათ ბედი. იმ წელიწადსვე გამიმართლა და მადლიერიც დავრჩი ამ მშვენიერი ქალაქისა. მაღალ დონეზე იყო სწავლა, საინტერესო და შინაარსიანი იყო უნივერსიტეტში გატარებული ყოველი წუთი.

ინტერნატურა უკვე თბილისის მე-5 საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში გავიარე. ცოტა ხანს ვმუშაობდი საქართველოს აკადემიური ნიჩბოსნების ნაკრებთან, შემდეგ გულმა მაინც ფეხბურთელთა გუნდისკენ გამიწია...

● **ლანჩხუთში პირადი სურვილით წახვედით?**

— ჯანდაცვის სამინისტროში გამომიძახეს და მითხრეს, რომ ლანჩხუთის „გურიას“, რომელიც ახალი გადასული იყო საკავშირო უმაღლეს ლიგაში, ესაჭიროებოდა ექიმი. მეც წავედი. ყველაფერი, რომ იტყვიან, ცარიელ ადგილზე დავიწყე, ჩამოვაყალიბე მშვენიერი აღდგენითი ცენტრი, რომლითაც მხოლოდ „გურია“ თუ დაიტრაბახებდა. სამწუხაროდ, ის აღდგენითი ცენტრიც და ბაზაც შემდეგში პოლიტიკურ მოვლენებს შეეწირა. ახლა გურჯაანში ვარ.

● **„გურიიდან“ წამოსვლის მიზეზი?**

— სხვანაირად არ შემეძლო. გუნდიდან წავიდნენ ბიჭები, ვისთან ურთიერთობაშიც ჩამოვყალიბდი როგორც სპორტული მედიკოსი, მე ვიცი თითოეული მათგანის ფსიქიკა, ხასიათი, გუნება-განწყობილება, მათი ორგანიზმი ზედმიწევნით შევისწავლე, თან ძალიან მეგობრული დამოკიდებულება გვაქვს ერთმანეთთან. ამიტომ წამოვყევი ბიჭებს. არც იმისი დამალვა შეიძლება, რომ გურჯაანში ბევრად უკეთესი პირობები შემოგვთავაზეს — დღევანდელ რთულ სიტუაციაში ვინ იტყვის ამაზე უარს.

● **წეღან თქვით, რომ კარგად იცნობთ „პაციენტებს“. ბატონმა ზაქრო თელიამ მაშინ ბევრი საიდუმლო გამანდო და ისიც მითხრა, რომ, ვინც მოედანზე გმირი იყო, ის მის კაბინეტში ნემსის დანახვაზე თურმე კურდღელივით თრთოდა...**

— ნემსის თითქმის ყველას ეშინია, მაგრამ იმასაც აქვს მნიშვნელობა, როდის და როგორ უძლებ ამ ნემსს. გორის „დილასთან“ შეხვედრის წინ ჩვენს მეკარეს თემურ ჩლაიძეს ფეხი სტკიოდა გაუსაძლისად. თამაშამდე ერთი დღით ადრე და თამაშის წინაც გავუკეთე ტკივილგამაყუჩებელი. ამ დღეს თემური შეუდარებელი იყო მოედანზე. სპორტსმენისგან ასეთი რამ გმირობის ტოლფასია, თუმცა ვცდილობ ნემსი ხშირად არ გამოვიყენო.

ფენომენალურია ოთარ კორძალიძე — ამდენი წელია თამაშობს და იშვიათად თუ დასჭირვებია ჩემი დახმარება. საოცრად გაწონასწორებულია ბესო ფრიდონაშვილი — ყოველთვის ყურადღებას აქცევს საკუთარ ჯანმრთელობას და როგორც გულისცემას, ისე აყურადებს თავის ორგანიზმს. დათო ცომაიას კი უდავოდ ბედი სწყალობს — იგი ბოლომდე, ლამის საკუთარი ჯანმრთელობისა და ორგანიზმის გაწირვის ფასად იბრძვის მოედნის ყოველ მონაკვეთზე და (ხეზე სამჯერ ვაკაკუნებ) ჩემგან სერიოზული დახმარება ჯერ არ დასჭირვებია. და საერთოდ, ჩემი ბიჭები განუმეორებლები და არაჩვეულებრივები არიან მოედანზეც და ცხოვრებაშიც.



დიმიტრი ზაალიშვილი

ჯ. ლომაძის ფოტო.

● **დამეთანხმებით — გუნდთან, კოლექტივთან მუშაობისას დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნას...**

— რა თქმა უნდა, როცა ექიმი გუნდთან მუშაობს, მან პირველ რიგში სწორედ ფსიქოლოგიურ მომენტზე უნდა იფიქროს, უნდა განუმტკიცოს სპორტსმენებს საკუთარი ძალების რწმენა, თამაშის წინ გაუმძაფროს გამარჯვების ჟინი, განაწყოს ოპტიმისტურად, დაამყაროს მეგობრული ურთიერთობა. თუ ეს ვერ შეძლო, აკადემიკოსიც რომ იყოს, გუნდში მისი ფასი კაპიკია. მთელი წლის განმავლობაში თითქმის ერთად ვცხოვრობთ ჩაკეტილ კოლექტივში და ასეთ შემთხვევაში სასურველი ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნა უდავოდ ბევრს ნიშნავს.

● **ამაში ალბათ, გუნდის სხვა მესვეურებიც გეხმარებიან...**

— ნაწილობრივ კი. თუმცა მწვრთნელებიც ისევე არიან დაძაბული, როგორც ფეხბურთელები. გუნდის პრეზიდენტი კი სულ სხვაა — მან ყველა პირობა უნდა შეგიქმნას საიმისოდ, რომ შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინო. ის გიხდის ფულს, ის უკვეთავს მუსიკას და ითხოვს საუკეთესოდ შესრულებას. მე მგონი, ვერ გაამტყუნებ.

● **რამდენადაც ვიცი, სპორტსმენთა კვების რაციონის შედგენაც ექიმების საქმეა.**

— უდავოდ, მაგრამ ახლა დრო დადგა ისეთი, რასაც იშოვი, ის უნდა აჭამო. ლანჩხუთში თავად ვუხარშავდი ბიჭებს ასკილის წვენს, კალორიული ნივთიერებებით განოყიერებულ ენერგეტიკულ ნაზავს ვუმზადებდი, ახლა კი ყველაფერი ისე გაძვირდა...

● **ტარტუში სწავლის შემდეგ დიდი დრო გავიდა. ცხოვრებაც წინ მიდის...**

— რაც ტრავმატოლოგიაში ახალი იყო იმ დროისათვის, მე ის მივიღე, ახლა ვცდილობ თანამედროვე ლიტერატურიდან ამოვკრიფო ის სიახლე, რაც ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობია. ლიტერატურა ძირითადად უცხო ენებზეა, თარგმანში კი ძალიან მეხმარება ჩემი და — ნანა ზაალიშვილი. თუმცა, როგორც უნდა ვიცოდვილო, პრეპარატების გარეშე უძლური ვიქნები, ჩვენთვის საჭირო წამლები აქ არ შემოდის, უცხოეთში კი, ვინმეს რომც დააბარო, ძალიან ძვირი ღირს. ასე რომ, ცოტა ხანში ავტოტრენინგით დავიწყებთ სპორტსმენების განკურნებას (იცინის). გუნდის პრეზიდენტი მპირდება, რომ გაისად ყველა ამ პრობლემას მომიგვარებს.

● **საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თუ გქონიათ მიწვევა?**

— მიწვეული ვიყავი ლიტვაში ჩვენი ნაკრების თამაშზე. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ნაკრების შემადგენლობა არ იყო უძლიერესი, ჩვენმა ბიჭებმა მშვენივრად ითამაშეს და ტოლი არ დაუდეს მეტოქეს. იმ ერთადერთ გოლს ჩვენს კარში თამაშის ბოლო წამებზე კურიოზული უფრო ეთქმოდა.

● **არცთუ ისე მცირე ხნის პრაქტიკა გაქვთ გუნდთან მუშაობისა. თუ გქონიათ შემთხვევა, საოპერაციოდ გაგეგზავნათ ტრავმირებული ფეხბურთელი?**

— არა, ვიდრე აღდგენით ცენტრს შევქმნიდი ლანჩხუთში, ერთი-ორჯერ გავაგზავნე ფეხბურთელი თბილისში ჩემი დიაგნოზის გადასამოწმებლად. ეგ იყო და ეგ. ჩემი ბიჭები ყოველთვის რაინდებად რჩებიან — მინდორზეც სუფთად იბრძვიან და გამარჯვებასაც და დამარცხებასაც ვაჟკაცურად ხვდებიან. თუ ფორტუნამ არ გაგვწირა და ჯანმრთელობამაც ხელი შეგვიწყო, მეორე საპრიზო ადგილს არავის დავუთმობთ.

ესაუბრა
ინგა ჩახვაშვილი

P. S. ამ საუბრიდან რამდენიმე დღის შემდეგ ეროვნულ სტადიონზე „მრეტებისა“ და გურჯაანის „ალაზნის“ შეხვედრისას წვივი მოტეხეს ახალგაზრდა, ნიჭიერ და პერსპექტიულ ფეხბურთელს, „ალაზნის“ წევრს გოჩა გუჯაბიძეს. ასეთი სასოწარკვეთა და ტკივილი პირველად მაშინ ვიხილე დიმიტრი ზაალიშვილის თვალებში. იმ დღეს „ალაზანმა“ გაიმარჯვა, მაგრამ ძნელად თუ ნახავდით ფეხბურთელთა სახეზე მოგებით გამოწვეულ ემოციებს. ექიმი კი... იგი საავადმყოფოში გაჰყვა ბიჭს, რომელიც ქართული ფეხბურთის მომავალს ეიმედება.

საქართველოს სპორტსმენები შინ და გარეთ

თბილისი ● სპორტული ტანვარჯიში

და მაინც...

დიდ სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის კლების ფონზე მისასალმებელია და საყურადღებო ყოველი ასპარეზობა, რომელიც კი ჩვენში დღეს იმართება. ამ საყოველთაო გაჭირვების ჟამს სასპარეზოდ ჩამოსვლა რომ მოახერხეს თბილისში ქუთაისისა და ბათუმის გუნდებმა, ვფიქრობთ, მისაბაძ ფაქტად გამოდგება რესპუბლიკის სხვა რეგიონებისთვის.

— აშკარაა, რომ წინა წლებთან შედარებით, ამ შეჯიბრების სპორტული დონე ერთობ დაბალი იყო, რაც, პირველ რიგში, სწორედ ასპარეზობათა სიმცირითაა გამოწვეული — გვეუბნება საქართველოს ახალგაზრდული პირველობის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი **ზაურ მარიდაშვილი** — და მაინც გამოვყოფ ჩვენს მზარდ ნიჭიერ ოსტატს ქუთაისიდან, 15 წლის ილია გიორგაძეს, მის თანაქალაქელ მაია ქორქოლიანს, თბილისელ შორენა გოგუაძეს, აგრეთვე ახალბედა ბათუმელ ბიჭებს.

ეს პაექრობა, რომელიც გიორგი ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის დარბაზში გაიმართა, როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისის განათლების სამმართველოს სპორტსკოლის გოგოებისა და ვაჟების გუნდების გამარჯვებით დამთავრდა. ასპარეზობაში ორმოცამდე მონაწილე ვიხილეთ.

პირადი პირველობა ბიჭებში ოსტატთა პროგრამით დამაჯერებლად მოიგო ილია გიორგაძემ — 101,7 ქულა, ოსტატობის კანდიდატებში — ლევან სანაშვილმა — 101.25, პირველთანრიგოსნებში — სერგო ჩიხლაძემ — 102,0.

გოგოებში უძლიერესნი იყვნენ მაია ქორქოლიანი (სპორტის ოსტატებში) — 71,45, გვანცა მეგენეიშვილი (ოსტატობის კანდიდატებში) — 68,6 და ადა ორფანიდი (პირველთანრიგოსნებში) — 66.0.

ცალკეულ იარაღებზე შეჯიბრებებში გაიმარჯვეს ი. გიორგაძემ, ვ. ზუბაევმა, ლ. სანაშვილმა, გ. ნიკურაძემ, შ. გოგუაძემ, შ. ბერუაშვილმა, მ. ქორქოლიანმა, მ. ხომიაკოვამ და გ. მეგენეიშვილმა.

მათე კირვალიძე

სუმგაითი ● კრივი

ყველგან წარმატებით...

საერთაშორისო ტურნირში, რომელიც სუმგაითში გაიმართა. 17-18 წლის იუნიორები იბრძოდნენ. ეს იყო წარსულში ცნობილი აზერბაიჯანელი მოკრივის აბას ალალაროვის მემორიალი და მთავარი პრიზიც (150 ათასი მანეთი) მის წონაში (57 კგ) გათამაშდა. მართალია, ჯილდო აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტს ვაზგენ მამედოვს ხვდა წილად, მაგრამ მისი წარმატება ჩვენი კრივის სკოლის გამარჯვებაც იყო, რადგან ამ ყმაწვილმა, როგორც მოკრივემ, თბილისში აიდგა ფეხი და აქვე დაოსტატდა.

ტურნირში, რომელშიც ხუთი გუნდი მონაწილეობდა, საქართველო 11-კაციანი გუნდით ჩაება. ბიჭებმა კარგადაც იასპარეზეს — ხუთი მათგანი ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, ამდენივე — მეორეზე, ერთი მესამე ადგილს დასჯერდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კარგი ცვლა მოდის.

ტურნირის შედეგების კომენტარი ვთხოვეთ გუნდის მწვრთნელს თამაზ კუჭავას, რომელიც მურაზ ამირანიანთან ერთად ახლდა სპორტსმენებს სუმგაითში.

— იმით დავიწყებ, რომ ყველაზე მჩატე (46 კგ) და ყველაზე მძიმე (91) წონებში „შევარდენის“ სკოლის აღსაზრდელებმა — ტყიბულელმა ლაშა ჩაფიძემ და ქუთაისელმა ირაკლი ფხაკაძემ არავის დაუთმეს პირველობა. ჩვენი გუნდის დანარჩენი წევრები სპორტსაზოგადოება „მართვეს“ წარმომადგენლები არიან. თეთრწყაროელი გია თამაზაშვილი (48 კგ) მხოლოდ ფინალში დამარცხდა. სამაგიეროდ, 54-ში თბილისელმა ბორის ალიევმა იმარჯვა: ფინალში ლენქორანელი ედუარდ ამოსოვი „გალახა“. ბესო ვარძელაშვილმა (თბილისი) რაფაელ მამედოვთან (სუმგაითი) ორთაბრძოლა მცირე უპირატესობით დათმო.

„შინაურული“ გამოდგა ჩვენთვის „63-იანთა“ ფინალი — ზაალ სეფისკვერაძე (ჭიათურა) — აკაკი წულუკიძე (თბილისი). თანამემამულეთა ამ საინტერესო ბრძოლაში პირველობა ჭიათურელს დარჩა.

მომდევნო წონით კატეგორიაში (67 კგ) სენაკელმა დევი გოგიამ თითქოს არაფერი დაუთმო სუმგაითელ გარი გაჯიევს, მაგრამ... გაჯიევის გამარჯვება, ეტყობა, მაყურებელთა ყიჟინამაც განაპირობა.

ფინალში შესანიშნავად „იმუშავა“ ილია ტლაშაძემ (71 კგ). ეს ჭაბუკი ხიდისთავიდან გორში დადის სავარჯიშოდ მსოფლიო ვიცეჩემპიონ გიორგი კანდელაკის მწვრთნელ ავთანდილ შოშიაშვილთან და გარჯაც დაუფასდა — ამ ასპარეზობაში ერთადერთი ოსტატი, თანატოლთა შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ბაქოელი ედუარდ აბდულაევი დაამარცხა.

სხვა ორ წონაში თბილისელებმა დავით სიუკაევმა (75 კგ) და ბადრი ჩლაგიძემ (57) მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

8 ივნისი, XXXIV ტური

„ივერია“ (ხაშური) — „გურია“ (ლანჩხუთი) 3-1. მსაჯები: ე. სილაგავა, მ. ელიკაშვილი (ორივე — თბილისი), შ. თომაშვილი (მცხეთა). **„ივერია“:** ტოგონიძე, კანდელაკი, ბაზტაძე, ჩიბაშვილი, მ. ლაცაბიძე, ტარიელაშვილი (ჩადუნელი), შალამბერიძე (ზ. ლაცაბიძე), ამბიძე, რობაქიძე, ქობელაშვილი, ბაკურაძე; **„გურია“:** დუმბაძე, ჩხაიძე, იმნაძე, მეჩეხია (ბერბერიანი), ბუცურეიშვილი. დოლბაია, ნარიაშვილი, ალავიძე, მეტრეველი, გოგოლაძე (ვერანიანი), გამცემლიძე. **გოლები:** ბაკურაძე, ქობელაშვილი, ბუცურეიშვილი, შალამბერიძე.

ავდარში თამაში მოგეხსენებათ: „ატალახებული“ გრუნტი, არაზუსტი გადაცემები. ასეთ პირობებში მასპინძლებმა უფრო მონდომებულად, ტაქტიკურად სწორად დაიწყეს თამაში. მათ შეამჩნიეს, რომ ლანჩხუთელებს დაცვის მარცხენა ფლანგი ხშირად რჩებოდათ უმეთვალყურეოდ და სწორედ იქიდან შექმნეს რამდენიმე სახიფათო მომენტი, ერთ-ერთი მათგანი კი გოლითაც დააგვირგვინეს.

ამ წარუმატებლობამ სტუმრები ვერ გატეხა და მას შემდეგ, რაც პასიურად მოთამაშე გოგოლაძე ვერანიანით შეცვალეს, რამდენიმე მწვავე იერიშიც განახორციელეს. თამაშის მეორე ნახევარიც მათი იერიშებით დაიწყო და რომ არა დაცვაში დაშვებული ორი უხეში შეცდომა, რომელიც გოლით დამთავრდა, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა შეხვედრა.

ხაშურელები წარმატებით თამაშობენ ბოლო მატჩებს — გუნდი აშკარად პროგრესის გზაზეა. ერთი შენიშვნა მხოლოდ: ფეხბურთელთა მაისურებზე ძნელად იკითხება ნომრები, მაყურებლებს და ოფიციალურ პირებს უჭირთ ფეხბურთელთა გარჩევა.

7 ივნისი, XXXV ტური.

„შევარდენი — 1906“ (თბილისი) — „დინამო“ (თბილისი) 3-1. მსაჯები: მ. მალაღურაძე მ. ჰელიძე, ვ. ეჯიბია (სამივე — თბილისი). **„შევარდენი — 1906“:** დევაძე, ქოჩლაძე (ტარტარაშვილი), მაჰავარიანი, ჩადუნელი, ჯიშკარიანი, ელიაშვილი. ნემსაძე, მელქაძე, გოგიჩაიშვილი, ყიზილაშვილი, მინაშვილი (ხურციალავა); **„დინამო“:** ჩხეიძე, ბერაძე, ჩიქოვანი, კუდინოვი, ანჩაბაძე. კვარაცხელია (რევიშვილი), ინალიშვილი, ჯამარაული, რ. არველაძე, ჭანქლაძე, ა. არველაძე. **გოლები:** ნემსაძე — 2, ინალიშვილი, გოგიჩაიშვილი — პენალტით.

წინა ტურში გამარჯვების შემდეგ „დინამომ“ თასის მფლობელის ტიტულს ჩემპიონობაც მიუმატა, ამიტომ ეს შეხვედრა მათთვის უფრო საპრესტიჟო გახლდათ. სულ სხვა ვითარებაში აღმოჩნდნენ მასპინძლები: ისინი ჯავგამოლდებით იბრძვიან მეორე ადგილისთვის, რაც მათ უეფას თასზე ასპარეზობის უფლებას მისცემს.

პირდაპირ ვიტყვით, დინამოელებს აშკარად არ გამოუვიდათ თამაში (მიზეზთა ძიება ალბათ უფრო ფსიქოლოგიურ მომენტამდე — მოტივაციის, სტიმულის არქონამდე მიგვიყვანს), მასპინძლებმა კი წლევანდელ საფეხბურთო სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო თამაში აჩვენეს. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ეროვნული ნაკრების წევრები ნემსაძე (შესრულების ხარისხით მისი ორი გოლი მართლაც დიდოსტატური იყო) და ყიზილაშვილი, რომელთა აქტიურმა თამაშმა მნიშვნელოვნად განაპირობა მასპინძელთა წარმატება.

სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ ფეხბურთელები გამოირჩეოდნენ მაღალი დისციპლინით. არადა, ეროვნულ ჩემპიონატში შეძენილი მავნე ჩვევები ევროტურნირებში ძვირად დაუჯდებათ ჩვენს გუნდებს.

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „კახეთი“ (თელავი) 6-2.

„მრეტები“ (თბილისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1-3

„დინამო“ (ბათუმი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 4-1

„ოდიში“ (ზუგდიდი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 5-4

„სამგურალი“ (წყალტუბო) — „კოლხეთი—1913“ (ფოთი) 2-0

„სამტრედია“ (სამტრედია). — „ცხუმი“ (სოხუმი) 2-1.

ბომბარდირთა სიას სათავეში კვლავ მერაბ მეგრელაძე („სამგურალი“) უდგას — 37 გოლი.

ვის რა ნიშანი...

უმაღლესი ჯგუფის მსაჯთა შეფასებები:

30 მაისი, XXXIII ტური

„ოდიში“ — „შევარდენი-1906“. გ. ხეჩუაშვილი 7,9, შ. ბერიძე 7,6, თ. შირიმიანცი 7,6.

„ცხუმი“—„დინამო“ (თბ.) ო. გუნთაძე 9,0, ა. მერკვილაძე 9,0, ი. მექერიშვილი 8,5.

„მეტალურგი“—„ივერია“. თ. მაჰარაძე 8,0, მ. ჰელიძე 9,0, ი. შალამბერიძე 9,0.

„ტორპედო“ — „კახეთი“. ე. სილაგავა 8,5, დ. გვაზავა 8,0 მ. ელიკაშვილი 8,5.

„დილა“ — „სამგურალი“. თ. ლაცაბიძე 8,0, ზ. დარჩია 8,0, ზ. ცინცაძე 8,0.

„გურია“ — „ალაზანი“. შ. ხანიაშვილი 9,0, რ. ვერულაშვილი 9,0, გ. ტაბატაძე 9,0.

3 ივნისი XXXIV ტური.

„ცხუმი“ — „კახეთი“. მ. კობიაშვილი 9,0, ვ. ჩოჩიშვილი 9,0, გ. დოლიძე 9,0.

„დინამო“ (თბ.)—„მეტალურგი“ თ. ლაცაბიძე 9,2, შ. ბერიძე 9,0 დ. გვაზავა 9,0.

„მრეტები“—„დინამო“ (თბ). ო. გუნთაძე 9,0, ა. წერეთელი 9,0, ი. მექერიშვილი 9,0.

„სამგურალი“ — „ტორპედო“. თ. მაჰარაძე 9,0, ვ. ბერძენიშვილი 9,0, თ. მელაძე 9,0.

პირველი ჯგუფი

4 ივნისი, XXXIV ტური.

„გურია-2“ (ლანჩხუთი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 4-3

„დურუჯი“ (ყვარელი) — „არმაზი-90“ (თბილისი) 2-3

„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „შუქურა“ (ქობულეთი) 4-1

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „იმერეთი“ (ხონი) 4-2

„სულორი“ (ვანი) — „სიონი“ (ბოლნისი) 0-3

პირველი ჯგუფის გუნდებმა დაასრულეს ჩემპიონატი. გაზეთის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ გათამაშების საბოლოო ცხრილს.

დებულების თანახმად, უმაღლეს ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვეს პირველ სამ ადგილზე გასულმა გუნდებმა — ქობულეთის „შუქურამ“, ჭიათურის „მაღაროელმა“ და თერჯოლის „საპოვნელამ“. ვულოცავთ ამ გუნდების ფეხბურთელებს, მათ მწვრთნელებს, მესვეურებს, გულშემატკივრებს ამ წარმატებას. პირველი ჯგუფი დატოვეს თბილისის „მერანმა“ და გორის „ქართლმა“, ხოლო ახმეტის „ბახტრიონს“ ბრძოლა უწევს ოთხთა ტურნირში, სადაც მის გარდა მონაწილეობას იღებენ მეორე ჯგუფის ზონებში მეორე ადგილებზე გასული გუნდები: ხარაგაულის „ჩხერიმელა“, თბილისის „იმედი“ და ქუთაისის „უქიმერიონი“. სფფ-ში ჩატარებულმა წილისყრამ ერთმანეთს შეახვედრა „ბახტრიონი“ — „ჩხერიმელა“ და „უქიმერიონი“ — „იმედი“. ამ წყვილებში გამარჯვებულნი 12 ივნისს გაითამაშებენ პირველი ჯგუფის ერთადერთ საგზურს.

გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ჯგუფი — მდგომარეობა 9 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (თბილისი)	29	23	2	4	81-23	71
„შევარდენი—1906“ (თბილისი)	29	18	4	7	58-33	58
„სამგურალი“ (წყალტუბო)	30	17	4	9	67-45	55
„ალაზანი“ (გურჯაანი)	29	17	3	9	58-39	54
„ტორპედო“ (ქუთაისი)	29	14	4	11	68-46	46
„მეტალურგი“ (რუსთავი)	30	13	7	10	68-65	46
„მარგვეთი“ (ზესტაფონი)	26	13	5	8	40-41	44
„კახეთი“ (თელავი)	29	12	3	14	45-56	39
„კოლხეთი — 1913“ (ფოთი)	29	11	6	12	41-41	39
„დინამო“ (ბათუმი)	28	11	5	12	51-47	38
„სამტრედია“ (სამტრედია)	29	11	4	14	30-42	37
„დილა“ (გორი)	29	10	4	15	35-45	34
„ოდიში“ (ზუგდიდი)	29	10	3	16	47-62	33
„ივერია“ (ხაშური)	29	9	4	16	33-55	31
„გურია“ (ლანჩხუთი)	28	9	2	17	30-52	29
„მრეტები“ (თბილისი)	29	8	3	18	32-58	27
„ცხუმი“ (სოხუმი)	29	7	1	21	51-74	22

დაეხმარეთ მოჭადრაკეებს!

სპონსორებს ელით საქართველოს სპორტულ მატიანეში
ადგილის დამკვიდრება და ვენაში გამგზავრება

● **საქართველოს** ჭადრაკის ისტორიაში სენაკის „ეგრისის“ მოჭადრაკე ვაჟთა ნაკრები პირველია, რომელიც ევროპის ხარბიელზე დამოუკიდებელი გუნდის სტატუსით იასპარეზებს საკლუბო ჩემპიონატში.

● **ევროპის** ქვეყნების საკლუბო გუნდების ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება სენაკის ვაჟთა ნაკრებმა ამას წინათ რესპუბლიკაში უმლიერესის სახელის დამკვიდრებით მოიპოვა.

● **სენაკელი** მოჭადრაკეები საქართველოს ჭადრაკის ისტორიაში პირველ ფურცელს ჩაწერენ იმ სპონსორებთან ერთად, რომლებიც ავსტრიაში მათ გამგზავრებას დააფინანსებენ.

● **სპონსორებისთვის** გამოყოფილია ორი ადგილი. შეჯიბრება ჩატარდება ვენაში ივლისის ბოლოს.

● **გამოგვეხმაურეთ,** თანხა შეგიძლიათ გადარიცხოთ თბილისში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ანგარიშზე — მთაწმინდის ბინსოცბანკი ანგ. № 000141707, მფო 521620. მიანიშნეთ „ეგრისის“ მოჭადრაკეთა დასახმარებლად.

● **დაწვრილებითი** ცნობებისათვის და თანხის ჩარიცხვისას დარეკეთ „ლელოს“ რედაქციაში 99-56-14, ან სენაკის სპორტკომიტეტში 2-28-53, 2-34-21.

წინასწარ გიხდით მადლობას!

თეატრალური, სალონური, სპორტული...

მართლაც მშვენიერი საღამო იყო — ორიგინალური, ხალისიანი და სევდიანიც. იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, „ქარვასლაში“ მოეწყო შეხვედრა საქართველოს სახელოვან სპორტსმენებთან— მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მფლობელებთან. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ქართული მწერლობის, თეატრის, კინოსა და ესტრადის ცნობილი წარმომადგენლები, საღამოს უძღვებოდნენ ქართლოს კასრაძე და ნუგზარ ჯულელი.

შეკრებილთ, ცხადია, პატივი მიაგეს გარდაცვლილ მსოფლიო ჩემპიონთა — არსენ მეკოკიშვილის, ვლადიმერ რუბაშვილის, ავთანდილ ქორიძის, ნუგზარ ასათიანის ხსოვნას.

სპორტსმენებთან ეს თეატრალურ-სალონური შეხვედრა მუზეუმში პირველად მოეწყო, ასე რომ, ამ საღამოს თაოსნები —საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს ტელევიზიის სპორტულ გადაცემათა რედაქცია და გაზეთი „გამბიტი“ ქებასაც იმსახურებენ და მადლობასაც. მადლობას, ცხადია, იმსახურებს კეთილი მასპინძელიც — მუზეუმის დირექტორი ქართლოს ცინცაძე.

მარიკა ხიდურელი

მკითხველი — გაზეთი

ძვირფასო რედაქცია!

ბოლო ხანებში არაფერი ისმის ფიფას პრეზიდენტ ჟოაო ავილანჟეზე. იქნებ თქვენ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ პიროვნებაზე?

გ. ნებიერიძე
ქუთაისი.

ნაცნობი და უცნობი ავილანჟი

ავილანჟი ამ ერთი თვის წინათ 77 წლისა გახდა. იგი ფიფას სათავეში უდგას 1974 წლიდან. დაიბადა ბრაზილიაში, წარმოშობით ბელგიელია, პროფესიით იურისტი. როცა ფიფას პრეზიდენტი გახდა, იგი იყო მსხვილი სატრანსპორტო კომპანიის პრეზიდენტი, ქიმიური, მეტალურგიული და ელექტრონული კომპანიების ვიცე-პრეზიდენტი. ავილანჟი, ცხადია, მილიონერია.

მისი სპორტული ბიოგრაფია ასეთია: 1936 წლის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა როგორც მოცურავე, 1952 წელს როგორც წყალბურთელი. 1957 წლიდან ბრაზილიის სპორტის კონფედერაციის პრეზიდენტი იყო.

ავილანჟის დამსახურებას მიაწერენ მთელ რიგ კონსტრუქციულ ცვლილებებს მსოფლიო ფეხბურთში, მისი თაოსნობით მსოფლიო პირველობის ფინალისტთა რიცხვი გაიზარდა 24-მდე, დაიწყო ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარება, რომლის ერთი ეტაპი, გახსოვთ, 1985 წელს გაიმართა თბილისში, მაშინ ავილანჟი ჩვენს დედაქალაქს პირველად ეწვია.



ჟოაო ავილანჟი

ავილანჟი ფიფას რიგით მეშვიდე პრეზიდენტია.

ფეხბურთის გაკვეთილი ნიუ-ჰეივენში

კონექტიკუტის შტატის ქალაქ ნიუ-ჰეივენში „იეილ ბოულის“ სტადიონის ტრიბუნები 6 ივნისს 44,5 ათასმა მაყურებელმა შეავსო. ისინი აქ მოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდების თამაშზე დასასწრებად.

გაზეთებმა ამ მატჩს „ფეხბურთის ლექცია“ უწოდეს, იმდენად, ცხადი და შთამბეჭდავი იყო ბრაზილიელთა ტექნიკური და ტაქტიკური უპირატესობა.

მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელთა რიგებში არ გამოდიოდნენ ჟორჟინიო, მიულერი, რენატო, რომარიო, ვალდო, ლუის ენრიკე, რიკარდო როჟერი და ბებეტო, მათ, ვინც მინდორზე გამოვიდა, თამაშის მაღალი კლასი გამოავლინეს და, თუმცა, მოკრძალებული ანგარიშით გაიმარჯვეს (2-0), სრული უპირატესობით წარმართეს თამაში.

მე-5 წუთზე პირველი ბურთი გაიტანა კარეკამ (იგი იტალიის „ნაპოლიში“ გამოდის), რომელმაც კარგად გამოიყენა მასპინძელთა მცველების შეცდომა ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნისას, მატჩის დასასრულს კი ამერიკელთა კარი მეორედ აიღო ლუის კარლოს ვინკმა.

ბრაზილიელ ფეხბურთელებს დაგეგმილი აქვთ შეხვედრები ინგლისისა და გერმანიის გუნდებთან, უცხოეთის საფეხბურთო წრეები ინტერესით მოელიან ამ მატჩებს.

„მარსელი“ და სხვანი

—**სულ** ახლახან დამთავრდა საფრანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატი. როგორც ვიუწყებოდით, ოქროს მედლები მოიპოვა ქ. მარსელის გუნდმა, რომელსაც საერთაშორისო სპორტულ პრესაში ხან „ოლიმპიკის“, ხან „მარსელის“ სახელით იხსენიებენ. ამ გუნდმა ბოლო, 38-ე ტურში, როცა იგი უკვე ჩემპიონი იყო, სტუმრად ითამაშა „ტულუზასთან“ და მარცხი იწვნია — 1-3. მეორე ადგილზე გავიდა „პარი სენ-ჟერმენი“, მესამეზე — „მონაკო“. წლეულს, შემოდგომით, „პარი სენ-ჟერმენი“, „მონაკო“ და მეოთხე ადგილზე გასული „ბორდო“ მონაწილეობას მიიღებენ უეფას ტურნირში.

საფრანგეთის უმაღლესი ლიგა დატოვეს „ტულუზამ“ და „ნიმმა“, ხოლო „ვალანსიენი“, რომელიც მე-18 ადგილზე გავიდა, ორ გადასასვლელ მატჩს გამართავს მეორე დივიზიონის კლუბ „კანთან“ უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლების მოსაპოვებლად.

„ოლიმპიკის“ წლევანდელი წარმატებები დაკავშირებულია 71 წლის მწვრთნელის რაიმონ გუტალსის სახელთან, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა გუნდის განახლებისა და აღორძინებისთვის. წლევანდელ ჩემპიონატში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ხორვატმა ფეხბურთელმა ალენ ბოკშიჩმა, რომელმაც 23 გატანილი ბურთით საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის წოდება მოიპოვა. მომდევნო ადგილებზე არიან გრაველენი („კაენი“) —20 ბურთი, კლინსმანი („მონაკო“) — 19, ფელერი („მარსელი“) — 18, ტიემო („ჰავრი“) — 15, ვეა („პსჟ“) — 14.

● **იაპონიის** ჩემპიონატში გაიმართა რამდენიმე ტურის შეხვედრები. ჯერჯერობით ერთობ წარუმატებლად გამოდის „გამბა ოსაკა“. გუნდის ხელმძღვანელობამ ამის გამო გადაწყვიტა რამდენიმე ფეხბურთელი შეიძინოს უცხოეთის ქვეყნებში. ერთ-ერთი მათგანია ბრაზილიელი კარეკა, რომელიც 32 წლისა გახდა და იტალიის „ნაპოლიში“ გამოდის. როგორც იაპონური გაზეთები იუწყებიან, კარეკა წინაამდეგი არაა „გამბა ოსაკასთან“ ორწლიან კონტრაქტს მოაწეროს ხელი.

● **ჰოლანდიის** ნაკრებისა და იტალიის „მილანის“ ცნობილი ფეხბურთელი რუუდ გულიტი უახლოეს დროში, ალბათ, თავს დაანებებს თამაშს.

რ. გულიტმა განაცხადა, რომ მას, 31 წლის კაცს, უკვე უჭირს ახალგაზრდა პარტნიორებთან თამაში და სწრაფი ურთიერთმოქმედება.

● **ქ. ხოჟუვში** ამას წინათ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ პოლონეთისა და ინგლისის ნაკრები გუნდები. მატჩზე დასასწრებად, როგორც ყოველთვის, ჩამოვიდნენ ფანატიკოსი ინგლისელი გულშემატკივრები. მათსა და ადგილობრივ ფეხბურთის მოყვარულებს შორის მოხდა შეტაკება — ერთი კაცი მოკლეს, 12 კი დაიჭრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონატის ექო

ქართული კიმონო საბერძნეთში

საქართველოში მსოფლიო სტანდარტების დონეზე დღესდღეობით მხოლოდ სპორტია. ამავე დროს, დღევანდელ საქართველოში ყველაზე მეტად; ბედის ანაბარად მიტოვებული დარგი სპორტი გახლავთ. ის, რაც აქამდე გაკეთებულა სპორტის სფეროში, ენთუზიასტთა ჯარჯისა და ცალკეულ სპორტსმენთა ნიჭიერების ნაყოფია.

არადა, შარშანდელ ოლიმპიურ ეზონზე რომ არაფერი ვთქვათ, ლეულს დამოუკიდებელმა ქართულმა სპორტმა საკმაოდ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია საერთაშორისო სარბიელზე. სამაგალითოდ კმარა საბერძნეთის დედაქალაქში არც ისე დიდი ხნის წინ დამთავრებული ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატიც, რომელშიც ჩვენმა მოჭიდავეებმა სამი ოქროსა და ერთი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს და საპრიზო ადგილების რაოდენობით წინ მხოლოდ საქვეყნოდ აღიარებული ფავორიტი. — საფრანგეთის გუნდი გაუშვეს (ფრანგებმა ჩვენთან შედარებით ერთი ბრინჯაოს მედლით მეტი მიიღეს).



ამ ჩემპიონატის შესახებ აზრის გაზიარება ვთხოვეთ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს **ანზორ მარტყოფლიშვილს**, რომელიც გუნდს ახლდა ათენში და მასთან ერთად გაიზიარა სპორტსმენთა ყველა სიხარული და გაჭირვება (ეს უკანასკნელი ჩვენს მოჭიდავეებს ამ მგზავრობაში, საუბედუროდ, არ მოჰკლებიათ).

● **ჯერ, პირველ რიგში, ზოგადი შეფასების შესახებ. ხართ თუ არა კმაყოფილი საქართველოს ძიუდოისტთა გამოსვლით?**

— რა, თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ მოულოდნელი აქ არაფერი ყოფილა. ათენში ჩვენ წარმატების რწმენით მივდიოდით და შეჯიბრების შედეგები კანონზომიერად მიგვაჩნია.

● **მეტის გაკეთება თუ შეგეძლოთ?**

— ალბათ შეგვეძლო, მაგრამ ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება. ჩვენ ნებისმიერი რანგის ტურნირში უმაღლესი შედეგებისთვის ვიბრძვით და, ამის გამო, მეტოქეობა გვიხდება მხოლოდ ფავორიტებთან. აქ კი ყველაფერია მოსალოდნელი. თქვენ რომ ფრანგ სპეციალისტებს შეეკითხოთ, ისინიც ალბათ იგივეს გეტყვიან: უკეთ გამოსვლა შეიძლებოდაო.

● **მაინც სად, რომელ წონაში მოგეცარათ ხელი, თქვენი აზრით?**

— ობიექტურად, გიორგი ვაზაგაშვილს, რომელიც 65 კგ კატეგორიაში ასპარეზობდა, უკეთესი შედეგი უნდა ეჩვენებინა, ვიდრე მეცხრე-მეათე ადგილებია. უკეთესს რომ ვამბობ, ოქროს მედალს ვგულისხმობ, დიახ, გიორგი ყოველმხრივ მზად იყო საამისოდ, მაგრამ მისი ეს წარუმატებლობა მთლიანად რიგელი მსაჯის ფილიმონოვის ნამუსზე იყოს — ორი წმინდა გამარჯვების შემდეგ მოლდოველ ლაზარენკოსთან ორთაბრძოლაში სრულიად უსაფუძვლოდ მიიღო გაფრთხილება, რომელიც შემდგომში საბედისწერო გამოდგა.

● **როგორი რეაქცია ჰქონდა გიორგის მსაჯის ამ გადაწყვეტილებაზე?**

— სამწუხაროდ, სპორტსმენის რეაქცია ისეთ საპასუხისმგებლო ტურნირში, როგორიც ევროპის ჩემპიონატია, არავის აინტერესებს (ცხადია, საკუთარი გუნდის გარდა). არადა, ასეთი არაობიექტურობა განსაკუთრებით უარყოფითად ახალგაზრდა სპორტსმენებზე მოქმედებს. უნდა გითხრათ, რომ ვაზაგაშვილს ოთხი შეჯიბრება არ წაუგია და აი ახლა, ასეთი დასანანი ლაფსუსი. თუმცა გიორგი ჯერ ახალგაზრდაა, მომავალი წინ აქვს და თავის თავს სხვებსაც და თუნდაც იმავე ფილიმონოვს კიდევ დაამახსოვრებს.

● **კიდევ ხომ არ ყოფილა რაიმე უსიამოვნო ინციდენტი?**

— ინციდენტი არა, უსამართლო მსაჯობის მაგალითი კი, რამდენიც გნებავთ — თუნდაც კობა კურტანიძეს გავიხსენებდი, მაგრამ ამაზე აღარ ღირს ლაპარაკი. საერთოდ, უნდა გითხრათ, რომ არა ვარ მომხრე ჩხუბის მერე მუშტების ქნევისა.

● **შეცდომებს მსაჯები მხოლოდ ჩვენს საზიანოდ უშვებდნენ, თუ ამ შეცდომების შედეგად სხვებიც იჩაგრებოდნენ?**

— საქმე ისაა, რომ უსამართლოდ იყო მოწყობილი თავად კენჭისყრა. აქ კომპიუტერზე მხოლოდ ფრანგი სპეციალისტები ისხდნენ, რომლებმაც კენჭისყრა ერთობ მიკერძოებულად წარმართეს: ჩვენ, გერმანელები, რუსები, ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკები ერთ ჯგუფში მოგვახვედრეს, თვითონ კი ყოველგვარი სირთულეების გარეშე გაიკაფეს გზა ფინალებისკენ. ამას მიხვდნენ გერმანელებიც, რუსებიც, სხვებიც, მაგრამ რაიმეს გამოსწორება აღარ შეიძლებოდა — გვიანი იყო.

● **თუ შეიძლება, ორიოდე სიტყვა ჩვენს ჩემპიონებზე?**

— დავით ხახალეიშვილმა, მოგეხსენებათ, ნამდვილი გმირობა ჩაიდინა და ორი ოქროს მედალი დაისაკუთრა. სულ ათენში 9 შეხვედრა ჩაატარა და ექვსი წმინდად მოიგო. დათოს დღესდღეობით არათუ ევროპაში, მსოფლიოშიც არ ჰყავს ბადალი. ვლადიმერ დგებუაძის წარმატებას დიდი ხანია ველოდით, მაგრამ ყოფილი საბჭოთა კავშირის ძიუდოს მესვეურებმა ეს ნიჭიერი ყმაწვილი ბევრჯერ უსამართლოდ დაჩაგრეს. ახლა, როგორც იტყვიან, სამართალმა პური ჭამა და ვლადიმერს ადრე დაკარგულის ანაზღაურების შესაძლებლობა მიეცა. უდავოდ ქებას იმსახურებს სოსო ლიპარტელიანის გამოსვლა 78 კგ წონაში. მან ერთადერთი შეხვედრა დათმო ფინალში და საბოლოოდ ვერცხლის მედალი მოიპოვა.

● **კიდევ რამეს ხომ არ გაიხსენებდით ამ ჩემპიონატთან დაკავშირებით? კარგ ხასიათზე მყოფი ადამიანისთვის ათენი, დაგვეთანხმებით, ალბათ, ტურისტული სამოთხეა.**

— ალბათ ასეა, მაგრამ ჩვენ ასეთ მაღალ მატერიებზე ფიქრის უფლება ათენში არ გვქონდა. საქმე ისაა, რომ შერემეტიევოს აეროპორტში საბაჟო სამსახურის თანამშრომლებმა, ფაქტობრივად, გაგვძარცვეს — მოგვპარეს, რაც უცხოური ვალუტა გვქონდა. ათენში ჩვენ მივიღეთ უმოწყალოდ „დამუშავებული“ ჩანთები და ცხოვრების საკმაოდ ულიმღამო პერსპექტივა. მე, მაგალითად, ყოველდღე დავდიოდი ბაზარში, ვყიდულობდი იქ პროდუქტებს ნასესხები ფულით და მერე სასტუმროში ვამზადებდი სადილსა და ვახშამს მოჭიდავეებისთვის გაზქურაზე, რომელიც სასადილო ჭურჭელთან ერთად იქვე მაღაზიაში შევიძინე. ასეთ პირობებში ტურისტულ შთაბეჭდილებებზე ლაპარაკი უხერხულიც გახლავთ.

● **და მაინც, თქვენ თქვენი საქმე გააკეთეთ და პირნათელი დაბრუნდით სამშობლოში.**

— დიახ, სწორედ ეს გახლავთ ჩვენთვის საამაყო.

აქვე გთავაზობთ ჩემპიონატის პრიზიორთა გამოსვლების „სტენოგრამას“.

მძიმე წონა. დავით ხახალეიშვილი — I ადგილი. პირველი წრე. ერნესტო პერესთან (ესპანეთი) — წმინდა გამარჯვება; მეორე წრე. დამე სტოიკოვთან (ბულგარეთი) — წმინდა გამარჯვება; მესამე წრე. რუსლან შარაპოვთან (ბელარუსი) — წმინდა გამარჯვება; მეოთხე წრე. იგორ მიულერთან (ლიხტენშტეინი) — ვაზარი; მეხუთე წრე. დავით დოულეტთან (საფრანგეთი) — წმინდა გამარჯვება.

აბსოლუტური კატეგორია. დავით ხახალეიშვილი — I ადგილი. პირველი წრე. ჯერიტ კატცბერგთან (ჰოლანდია) — წმინდა გამარჯვება; მეორე წრე. რაფატ კუბაცკისთან (პოლონეთი) — შიდო; მესამე წრე. ჰენრი შტორთან (გერმანია) — კეიკოკუ; მეოთხე წრე. ჰარი ვან ბარნეველდთან (ბელგია) — წმინდა გამარჯვება.

71 კგ. ვლადიმერ დგებუაძე — I ადგილი. პირველი წრე. დაისვენა; მეორე წრე. ნორფ ჰაიმბერგერთან (ავსტრია) — წმინდა გამარჯვება; მესამე წრე. დიეგო ბრამბილასთან (იტალია) — წმინდა გამარჯვება; მეოთხე წრე. იორმა კორხონენთან (ფინეთი) — იუკო; მეხუთე წრე. ტურლან ფოლადოვთან (აზერბაიჯანი) — წმინდა გამარჯვება.

78 კგ. სოსო ლიპარტელიანი — II ადგილი. პირველი წრე. სილვიო ფრანცისკოსთან (პორტუგალია) — წმინდა გამარჯვება; მეორე წრე. იოჰან ლატცსთან (ბელგია) — წმინდა გამარჯვება; მესამე წრე. რობერტ რიმართან (ლიტვა) — იუკო, მეოთხე წრე. ანდრეი ტიმოშენკოსთან (რუსეთი) — ვაზარი; მეხუთე წრე. დარსელ იუანტთან (საფრანგეთი) — დამარცხდა წმინდად.

ფინალი: „ჩიკაგო“ — „ფინიქსი“

კალათბურთის ეროვნული ლიგის (ნბა) ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ჩემპიონი — „ჩიკაგო ბულზი“ და წლევანდელი ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი სენსაციის ავტორი „ფინიქს სანსი“. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ამ კლუბებმა „პლეი-ოფის“ ნახევარფინალური სერიები მოუგეს, შესაბამისად, „ნიუ-იორკ ნიქსსა“ და „სიეტლ სუპერსონიკს“.

განსაკუთრებით მძაფრი და დაძაბული გამოდგა ორთაბრძოლა „ფინიქსსა“ და „სიეტლს“ შორის. გამარჯვებულის გამოვლენას დასჭირდა შვიდივე შეხვედრა (4:3). ბოლო მატჩში, რომელიც მოიგო „ფინიქსმა“ ანგარიშით 123:110. ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელმა ჩარლზ ბარკლიმ თავის კლუბს 44 ქულა შესძინა.

„ჩიკაგომ“ „ნიუ-იორკ ნიქსი“ დაამარცხა საერთო ანგარიშით 4:2.

ნბა-ს ჩემპიონატის პირველი ფინალური მატჩი დანიშნულია 9 ივნისისთვის.

უილტონ ჩემბერლენის შემდეგ

უილტონ ჩემბერლენის შემდეგ **ნბა-ს** სტატისტიკოსთა დაანგარიშებით მაიკლ ჯორდანი ლიგის ისტორიაში მეთვრამეტე კალათბურთელია, რომელმაც გადააჭარბა 20 ათასი ქულის ზღვარს. ერთ მატჩში საშუალოდ აღებული ქულების რაოდენობით კი მას მეორე ადგილი უკავია ლეგენდარული უილტონ ჩემბერლენის შემდეგ.

ჩემბერლენმა 20 ათასი ქულა მოაგროვა 499 მატჩში, რაც საშუალოდ 40,1 ქულას უდრის ერთ შეხვედრაში. მაიკლ ჯორდანს იგივე მაჩვენებელი აქვს 620 მატჩში — საშუალოდ 32,3 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან: ოსკარ რობერტსონი — 671 მატჩი, საშუალოდ — 29,8 ქულა, ქარიმ აბდულ ჯაბარი — 684 მატჩი, 29,2 ქულა.

აი, ეს კი დისკვალიფიკაციაა!

ლოზანა. ეს მართლაც საგანგებო შემთხვევაა! როგორც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფივბ) შტაბ-ბინიდან იუწყებიან, გაურკვეველი დროითაა დისკვალიფიცირებული იტალიის ყველა კლუბი, აგრეთვე, ვაჟთა ეროვნული ნაკრები, რომელიც მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ატარებს. როგორც ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, ეს არის იძიბი სანქცია, თავისებური პროტესტი იმის გამო, რომ ეროვნულ ფედერაციას წაართვეს დამოუკიდებლობა და მის საქმიანობას ახლა იტალიის ოლიმპიური კომიტეტი ხელმძღვანელობს. რატომ ჩაერია ფედერაციის საქმიანობაში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, არ არის ცნობილი. ჟურნალისტებს უთხრეს, რომ იტალიის ფრენბურთის ცხოვრებას ამიერიდან ოლიმპიური კომიტეტი წარმართავს. მიმდინარე წლის თებერვალში არჩეული ფრენბურთის ეროვნული ფედერაციის მთელი შემადგენლობა დათხოვნილია.

საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი რუბენ აკოსტა აღშფოთებულია იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ასეთი უხეში ჩარევით და კატეგორიულად აცხადებს, რომ დისკვალიფიკაცია ძალაში დარჩება მანამ, სანამ ეროვნული ფედერაცია არ მიიღებს სრულ დამოუკიდებლობას და არ აირჩევს ახალ პრეზიდენტს.

დისკვალიფიკაცია არ არის ერთადერთი სანქცია ამ უსიამოვნო ისტორიაში. იტალიას ჩამოერთვა, ასევე, საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით მიმდინარე ნებისმიერი შეჯიბრების მასპინძლობის უფლებაც უახლოესი ოთხი წლის მანძილზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 1994 წლის ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში არ გაიმართება.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ ნანეიშვილი

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

(ა. წერეთლის გამზირი. 2)

11 ივნისი ● ფეხბურთი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

(უმაღლესი ჯგუფი)

„დინამო“ (თბილისი) — **„ტორპედო“** (ქუთაისი)

დასაწყისი 17 საათზე.

ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 11 ივნისს 11 საათიდან.

საქართველოს სპორტკომიტეტი თანაგრძნობას უცხადებს ამავე კომიტეტის კოლეგიის წევრს, რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილეს გიორგი მათიაშვილს მამის გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ფოტოჟურნალისტ ზურამ ქიმერიძეს შვილის გარდაცვალების გამო.

შეიქმნება თუ არა „ოცნების გუნდი“ ჰოკეიში?

ჰოკეისტთა ეროვნული ლიგის (ნჰლ) პრეზიდენტმა ჯილ სტეინმა პრესკონფერენცია გამართა ლიგის უახლოესი გეგმების თაობაზე. სხვა შეკითხვებთან ერთად მას სთხოვეს ეპასუხა ერთზეც: შეიქმნება თუ არა 1994 წლის ლილეჰამერის ოლიმპიური თამაშებისთვის „ოცნების გუნდი“?

ამაზე კონკრეტული პასუხი სტეინს არ გაუცია, თუმცა განაცხადა, რომ ასეთი გუნდის შექმნა არ არის გამორიცხული. მისი სიტყვებით, ყველაფერი გაირკვევა კლუბების მფლობელთა ერთ-ერთ მორიგ შეხვედრაზე. სხვათა შორის, კლუბების მფლობელებმა ამ საკითხის შესახებ უკვე იმსჯელეს, მაგრამ ერთიანი გადაწყვეტილება ვერ მიიღეს.

პრესკონფერენციაზე საუბარი იყო დრაფტის სისტემის შეცვლაზეც, რომელიც წლევანდელ ზაფხულსვე შეიძლება განხორციელდეს. ახალი წესების თანახმად ლიგაში მოთამაშე გუნდებს შეუძლიათ ერთი მეკარის, ხუთი თავდამხსმელისა და ხუთი მცველის არჩევა. ახალბედა კლუბებს კი მეტი შეღავათი ეძლევათ (მხედველობაშია მიღებული ანაჰეიმისა და მაიამის გუნდები). მათ შეუძლიათ შემადგენლობა 24-24 ჰოკეისტით განაახლონ. დრაფტის სიაში შეყვანილ ჰოკეისტთა რაოდენობა 150-დან 200-მდე გაიზარდა.

ნჰლ-ის ხელმძღვანელობა ასეთ ნაბიჯზე შეგნებულად მიდის. ბოლო ორი წლის ახალბედები ისტატობით საგრძნობლად ჩამორჩებიან ლიგის ძველ ბინადრებს. ეს განსაკუთრებით „სან-ხოსეზე“ და „ტამპა ბეიზე“ ითქმის.

... 6. ... 16. ☎ ... 98-98-16 ... INDEX ... „...“ ...